საქართ. მემარცხენე სოც-ფედერალისტთა რევოლიუციო პარტია — მთავარ კომიტეტის ორგანო

# ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა" თვიურად ღირს 100,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე 500,000 უკანასკნელზე 300,000 მ. განცხადება 10.000 მ. ნოპარელის სტრიქონი. კანტორა ღიაა დილის 8—2 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება 10—12 ს. რედაქციის მისამართი—ტფილისი სასახლის ქუჩა № 6, ფოსტისყუთი № 190, ტელეფონი 10—34.

№ 36[illegible]

ოთხშაბათი, დეკემბრის 12 1922 წ.

ტფილ. ფასი 5000 მან. ▭ პროვინც. 5000 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოდის სამხატვრო სალიტერატურო ჟურნალი

„სოფლებს და ქალაქებს"

რედაქტორი: ვ. გაბესკირი

## კულტურული ფრონტი

რევოლიუციონურ ქვეყნებისათვის სამოქალაქო ომსა და სამეურნეო ფრონტს შემდეგ მწვავედ დაისვა კულტურული ფრონტის საკითხი.

კულტურული ფრონტი მუშათა კლასისათვის გაცილებით უფრო საძნელო ფრონტია, ვიდრე ბარიკადული ან სამეურნეო ფრონტი. მიუხედავად ამისა საბჭოთა ქვეყნებმა ჯეროვანი ზომები მიიღეს კულტურულ ფრონტზედ ბრძოლისათვის და კიდეც მიაღწიეს საგრძნობ შედეგებს.

საბჭოთა რუსეთში კულტურას დიდი მფარველობა ეწყობა. თეატრები, მუზეუმები, წიგნის გამომცემლობანი და სხ. უკვე აღდგა ფეხზე და მდიდარი საზრდო მიეცა ხალხს კულტურული წინსვლისათვის.

ჩვენშიაც მიუხედავად მრავალი დაბრკოლებული მიზეზებისა გაცხოველებული კულტურული მუშაობა სწარმოებს. დღეს საქართველოში, მრავალი კულტურული ხასიათის ჟურნალ-გაზეთები გამოდის პერიოდულად, გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს კონსერვატორიებში და თეატრებში.

ყოველივე ეს დიდ იმედს იძლევა. ჩვენმა ინტელიგენციის ნაწილმა არსებითად უარყო განდგომის გზა და ენერგიულ მონაწილეობას იღებს კულტურულ მუშაობის სფეროში.

არ შეიძლება არ აღინიშნოს წიგნის ბაზრის სიმცირე. ქართული წიგნი ჯერ კიდევ არ სდგას თავის სიმაღლეზედ, ამ მხრით მთელი საკითხი სდგას ხელისუფლებისა და საზოგადოების წინ. ქართულმა წიგნმა უნდა დაიკავოს საპატიო ადგილი სახელმწიფო გამომცემლობაში.

ჩვენი კულტურული განვითარება მჭიდროდ დაკავშირებულია ეროვნულ კულტურული ძალების მაქსიმალურად გამოყენებასთან. ამ მხრივ ჯერ-ჯერობით არ შეიძლება მდგომარეობა სასურველად ჩაითვალოს. მრავალი კულტურული მუშაკი დღეს უკიდურეს მატერიალურ გაჭირვებას განიცდის და საშუალება არა აქვს კულტურულ სფეროში მოღვაწეობისათვის. ამ აზრის დამსურათებელია მასწავლებელთა მდგომარეობა, რომელთაც არ ეღირსათ საარსებო პირობების გაუმჯობესება.

კულტურული ფრონტის საკითხი ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა იმ მხრივაც, რომ ჯერ კიდევ საგრძნობად სჩანს მოუშუშებელი იარები, რომელიც მიაყენა რუსული იმპერიალიზმის ბატონობამ ჩვენს ეროვნულ კულტურას საუკუნის განმავლობაში.

ქართველ ხალხს, თუ სურს თავისი ინდივიდუალობის დაცვა, თავისი სახით სიარული საკაცობრიო ოჯახში, იგი მაქსიმალურად უნდა ანვითარებდეს კულტურულ მუშაობას, უმთავრეს ყურადღებას უნდა აქცევდეს კულტურულ ფრონტს, რადგან პატარა ერის შემოქმედებითი ენერგია განსაკუთრებით კულტურულ შემოქმედებაში გამოიხატება.

ჩვენ მსოფლიო ტიტანთა ბრძოლაში ვერ შევასრულებთ დიდ როლს, მაგრამ კულტურულ ასპარეზზედ შეგვიძლია დავისახოთ დიდი და მაღალი მიზნები.

ჩვენმა ინტელიგენციამ უკვე აიღო კულტურული მუშაობის გეზი, რისკენაც ჩვენ იმ თავითვე მოვუწოდებდით.

ეს ასეც უნდა მომხდარიყო, ამას ქონდა მთელი რიგი ობიექტიური და სუბიექტიური საფუძვლებისა, რომელსაც აქ არ შევეხებით, ვიტყვით მხოლოდ, რომ კულტურულ ფრონტზედ მუშაობას კიდევ მეტის ენერგიით და თავდადებით უნდა შევუდგეთ.

## თურქული პრესა

სტანბულის გაზეთ „თევჰიდი ეფქარ-ში" ფურცლიაში დანიშნული ახალი კომისარ რეფეთ-ფაშის და მის თანამხლებელნი ჟანდარმერიის სტანბოლში შემოსვლის შესახებ სწერს შემდეგს:

„რეფეთ-ფაშის და მისი თანამხლებელნი ჟანდარმერიის სტამბოლში შემოსვლა ჩვენი ეროვნული მიზნებისაკენ გადადგმული მეტად მნიშვნელოვანი გადამწყვეტილი ნაბიჯი არის. გარდა ამისა ეს ნაბიჯი ჩვენი მსვლელობისა, უკანასკნელი მანძილი, საცვენი არისო რომ ვსთქვათ გაზვიადებული არ იქნება. აწ შემდეგი გადასადგმელი ნაბიჯებით ჩვენი ეროვნული ბრძოლაც თავდება და თურქების „ეროვნული აღთქმის" ფარგლებში ძირითადი უფლებების მოპოვებასაც რომ უნდა მოვესწროთ ეგეც ცხადია.

ანატოლის ბრძოლაში ასე წესიერი ნაბიჯების გადადგმით წინმსვლელობა, და ამ გამარჯვებებთან მოყოლებული დიდი გამარჯვებების მოპოვებით მიზნისაკენ დაახლოება, ოთხი წლიწადია ჩვენს წინაღმდეგ მტრობის ულმობლად წარმოება თავის საპროგრამო მიზნად დამსახველებისათვის საგაკვეთილო უნდა იყოს.

მდგომარეობა გვიჩვენებს, რომ თანამედროვე საუკუნეში ვისიმეს აზისა და უფლებების წინაღმდეგ გალაშქრება უშედეგოთა რჩება.

ჩვენ ჩვენი ბრძოლითა და გამარჯვებით, განსაკუთრებით ამ დიადი ჭეშმარიტების აღიარებისა და განმტკიცების საქმეში, მსოფლიო პოლიტიკურ ისტორიაშიც ახალი ეპოხა შევქმენით, და ყველა ჩაგრული ერების უფლებათა მოსაპოვებელ ბრძოლის წინამორბედები ვხდებით.

ჩვენს ბრძოლაში ჩვენ გამარჯვების უზრუნველმყოფელი მთავარი ფაქტორი გადაუჭარბებლად ჩვენი ეროვნული მოთხოვნილებანი და თავდაცვა იყო. მოთხოვნილება ჩვენი ეროვნულ საზღვრებში ჩვენი ცხოვრების უფლებების და დამოუკიდებლობის მოპოვება იყო.

ჩვენი ეს კანონიერი უფლებების ცნობა, არა და არა მოისურვეს. ერის დაღლილობა და სისუსტე, ჩვენი წმინდათ მიჩნეულების შელახვისათვის და ჩვენი საცხოვრებელი უფლებების ახდისათვის საკმარისს მიზეზებად სცნეს, თუმცა ეს დიდი შეცდომა იყო და ჩვენს მტრებს ჩვენზედ რომ გაემარჯვნათ, და მსოფლიოს ერთერთი თავისუფალი და დამოუკიდებელი ერი თურქები, მონობის ბორკილებში რომ ჩაეგდოთ, ეჭვი არაა ისტორიის დიდი ბოროტება უნდა ჩაედინათ.

ესეც ეს შეუძლებელი იყო. და ოთხი წლიწადია რომ ჩვენ ამის შეუძლებლობა ათასჯერ განმეორებით, ანტანტის თავის ყოველივე მოძრაობით და მოქმედებით და ამტკიცა, რომ მტრებს ამის სისრულეში მოყვანა არ შეუძლიათ, მაგრამ ჩვენი მტრები სულ ყურზე იდგნენ. თუმცა ჩვენ ესეც გვწამდა, რომ ჩვენი მტრების ასე უსამართლო ქცევანობა, ჩვენი უფრო ადვილად გამარჯვების მიზეზებად შეიქმნებოდა. და სწორედ ასეთმა გამარჯვებამ ჩვენ ინონის, საკარიის და სხვა ფრონტების და ხაზების გამარჯვებით გადალახვის შემდეგ, ბოლოს და ბოლოს სატახტო ქალაქის ნატვრი რეფეთ-ფაშა, სტამბოლამდე მოიყვანა.

ამგვარად და ასე არანორმალურ პირობებში გუშინ წინ რეფეთ ფაშის სატახტო ქალაქში შემოსვლა, რა დიდი შინაარსების გამომცემია. ორი სამი წლის წინეთ არსებული საზარელი ის ზავი დღეები გავითვალისწინოთ. იმ ხანაში სახელმწიფოს სვე ბედზე მტარვალად მოვლინებული ფერიდ-ფაშის მთავრობის შემადგენლობა ერთის მხრით საბერძნეთიდან და მეორე მხრით სხვა ჩვენს მტრებთან ერთად ჩვენს მტრებთან ერთად ჩვენს წინააღმდეგ მოღვაწეობდნენ და „ფედაიებს" ადგენინებდნენ. ვითომდა წესიერების დამცველი ძალების შექმნით, მუსლიმანები მუსლიმანებისათვის უნდა გადაწყვეტებინებინათ. მუსტაფა ქემალ-ფაშის, რეფეთ ფაშის დასახვრეტად ფეთვები (შარიათის დადგენილება) გამოჰქონდათ ის საზარელი და სამარცხვინო სიკვდილის სასჯელის დადგენილებანი დღესაც კი (აქ ერთი სტრიქონი ცენზურის მიერ არის გამოტოვებული) ძალაში არის. აი ოთხი წლიწადია ერის მონობის ბორკილებისაგან განთავისუფლებისათვის, არარაობიდან ეროვნული მოძრაობის შემქმნელთა დღეს მსოფლიო მუსლიმანობისაც სასახელო დიდი გამარჯვების მომპოვებელთაგან ერთიც, რომელსაც სიკვდილი ჰქონდა გადაწყვეტილი სწორეთ ეს რეფეთ ფაშა არის.

აი ამ ეროვნული გმირის ასეთ პირობებში, რაც ძველებს არ ღირსებიათ, ასეთი გამარჯვებით სტამბოლში შემოსვლა, სწორედ ამ ახალი გადადგმული ნაბიჯის ურყევლობას განამტკიცებს. და ისევე ამის გამო ვლაპარაკობთ რომ ჩვენ ეს ნაბიჯი ჩვენი ბრძოლის უკანასკნელ მანძილად, უკანასკნელ სასვენად მიგვაჩნია, და ამაში ეჭვიც არ გვეპარება, რომ შემდეგი ნაბიჯებითაც ბოლო მიზანს უნდა მივაღწიოთ.

დიახ, ამის შემდეგ მხოლოდ ერთი ნაბიჯის გადადგმა-და დაგვრჩენია. ამ ნაბიჯის გადადგმითაც ჩვენი ეროვნული ბრძოლის ისტორიის უკანასკნელი გვერდის ფურცლებიც უნდა დაიხუროს, და ხალხმაც ნანატრი ზავისა და მშვიდობიანობის დამყარებას უნდა მიაღწიოს. ამასთან ერთად ჩვენი უკანასკნელი ნაბიჯის შემდეგ ჩვენი ბრძოლის დამთავრებაც ერთ პირობაზე არის დამოკიდებული, ესეც ჩვენმა მტრებმა რომლებმაც ჩვენთან ბრძოლა ჩვეულებრივად გაიხადეს, ჩვენ მიერ შექმნილი ფაქტების წინაშე იქნება ჩვენი მტრების მიერ ქედის მოხრა და ჩვენი კანონიერი უფლებების უსიტყვოდ ცნობა და დამკიცება. წინააღმდეგ შემთხვევაში კი ყველამ დარწმუნდეს, რომ დღეს ჩვენ როგორც სულიერად ისე ხორციელად მოპოვებულ აქ არა ჩვეულებრივ გამარჯვებაზე დამყარებით (აქ სამი სტრიქონი ცენზურის მიერ გამოტოვებული).

## ოსმალური საკითხი ანატოლიაში

1.

ყოველივე საკითხი დღეს მსოფლიო ზომსადარით იზომება. დიდი მსოფლიო ომი, რომელმაც საფუძვლით გაანადგურა მრავალი სახელმწიფო, დღესაც არ არის არსებითად დასრულებული და კვლავ უქადის კაცობრიობას სისხლის მორევის შექმნას, სისხლის დენის განახლებას. უკანასკნელი ამბები ოსმალეთში, ბერძენთა სასტიკი დამარცხება, რაც დამარცხებაა მასთანვე მსოფლიო ომის გამომწვევ ანტანტისა, ოსმალთა ლაშქრის სწრაფი წინსვლა—ყოველივე ეს განახლებულ ოსმალეთის მოძრაობას, რამაც ცხადია მსოფლიო მნიშვნელობა მიიღო, ვინაიდან აქ უკვე საკითხი დაისვა დარდანელის სრუტის შესახებ, რომელშიაც დაინტერესებული არიან ევროპის სახელმწიფოები, უმთავრესად კი ინგლისის სახით და რასაკვირველია დაინტერესებული არიან ამ საკითხით საცვენით ოსმალეთი და მასთანვე ის საბჭოთა სახელმწიფოები, რომელთაც გამოსავალი შავი ზღვის ნაპირებზე აქვთ. ასეთები კი არიან რუსეთი, უკრაინა, საქართველო.

მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ გვაინტერესებს ეს საკითხი წმინდა ეროვნული თვალსაზრისით, რადგან ეს მოძრაობა თავის თავად დაკავშირებულია თანამედროვე დიდ რევოლიუციის მსვლელობასთან.

ოსმალთა მოძრაობა, რომელსაც ქემალ ფაშის მეთაურობით ხელმძღვანელობს ოსმალეთის დიდი ეროვნული კრება ქ. ანგორაში მყოფი, ეს არის ეროვნული მოძრაობა, როგორც ძველ ოსმალეთის წინააღმდეგ, აგრეთვე იმ კაპიტალისტურ ქვეყნების სახელმწიფოების წინააღმდეგ, რომელთაც საუკუნეობით ხელთ უპყრიათ [illegible] ძველ დახავსებულ ოსმალეთისა. ეს მოძრაობა, რომელიც უკვე რამოდენიმე წელიწადია სწარმოებს, აუცილებლად გამარჯვების გზაზე იდგა და გაიმარჯვებდა კიდეც, თუ მივიღებთ მხედველობაში იმ პირობებს, რომელიც შექმნილია ანგორის ირგვლივ. მიუხედავად იმ მრავალ ომებისა და შეუჩერებელი ბრძოლისა თითქმის ორი ათეულ წლების განმავლობაში ბალკანეთის სახელმწიფოებთან, იტალიასთან, რუსეთთან, ოსმალეთმა მაინც შესძლო კვლავ შეექმნა მაგარი აღფრთოვანებული ლაშქარი, რომელიც გამსჭვალული იყო ოსმალეთის განთავისუფლების იდეებით უცხო ბატონებისაგან. ამ მხრივ ეს მოძრაობა აუცილებლად არის რევოლიუციონური, ვინაიდან მასში ნაგულისხმევია ერის თავისუფლებისაკენ მისწრაფება, საკუთარი მიწა-წყლის განთავისუფლება უცხო კაპიტალისტურ-ბურჟუაზიულ გავლენისგან და ამავე გავლენის ქვეშ მყოფი თვით ოსმალეთის, ძველი ოსმალეთის მთავრობის და მათი მოტრფიალე ელემენტებისაგან. თუ რა მდენად შესძლეს თავის ახალ მეთაურების ხელმძღვანელობით ოსმალებმა ამ მიზნის თითქმის მიღწევა, ამას ნათლად მოწმობს მათი უკანასკნელი ბრწყინვალე გამარჯვება ბერძნებზე, რომელნიც უკუქცეულნი იძულებულნი იყვნენ სავსებით მიეტოვებინათ არამც თუ მცირე აზიის მიდამოები, არამედ საპირეოც შეიქმნა მათ მიერ მუდანიის კონფერენციის შემდეგ მთელ ფრაკიიდან ჯარების გაყვანა და მასთანვე მცხოვრებლების აყრა და გადასახლება საბერძნეთში, სადაც დღეს დღეობით შეიქმნა გართულებული მდგომარეობა, ხალხი ბობოქრობს, მეფე კონსტანტინე დაეცა, მაგრამ მაინც სახელმწიფოს სადავე კვლავ ბერძენთ ხალხის მტრებს, მონარქიულ და ბურჟუაზიულ წესწყობილების მოტრფიალეთ, აქვთ ჯერ ჯერობით აღებული. სწორეთ ამ უკანასკნელთა წყალობით, რომელნიც მოქმედებდნენ ანტანტის მითითებით და დახმარებით, გადასახლეს ბერძენთ ხალხი, გადასახლეს სწორეთ ბერძენთ ის ნაწილი, რომელიც ცხოვრობდა ოსმალეთში და შესაძლოა, თუ კი აქ გამონახული იქნებოდა სხვა გზები ბერძნების მიერ თავის ეროვნულ უფლებათა შენარჩუნების, მათი მისწრაფება კარგადაც დაბოლოვებულიყო, მაგრამ აქ საკითხი სულ სხვა სახით დაისვა.

აქ ოსმალეთს ბერძენთა სახით ებრძოდა ინგლისი, აქ დაპირისპირებული იყო ევროპის კაპიტალიზმი და აღმოსავლეთის მოძრაობა, რომელიც ამ კაპიტალიზმის განადგურებისაკენ მიისწრაფოდა და სწორედ ამ მისწრაფებას შეეფარდა, შეეგუა ოსმალთა ეროვნული მოძრაობა, ოსმალთა ეროვნულ უფლებების დაცვა. და სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ ბერძნები მოქცეული ანტანტის ბურჟუაზიულ რკალში უნდა დამარცხებულიყო დღეს თუ არა ახლო მომავალში მაინც. ასეთი იყო დღევანდელ ცხოვრების მოთხოვნილებანი ისტორიამ და ცხოვრების კანონებმა თავისი ქნეს და ოსმალთა უკანასკნელ ამბებით შეარყიეს სრულიად ბურჟუაზიულ ევროპის აცახცახებული ძარღვები და დღეს მაინც ცდილობს ბურჟუაზიული ევროპა ამ მოძრაობის უკუქცევას, მაგრამ ამაოდ. ოსმალთა მოძრაობას მთელი თავისი არსებით მხარს უჭერს რევოლიუციონურ აღმშენებლობაში მყოფი საბჭოთა სახელმწიფოები რომელთა ინტერესები მოითხოვენ ყოველ მხრივ ასეთ პოზიციაში დგომას ოსმალთა სასარგებლოდ.

რასაკვირველია, ამ მხრითაც, ესე იგი, ამ თანაგრძნობით საბჭოთა ქვეყნების მხრივ უზრუნველყოფილია ოსმალეთი რომელმაც კარგად იცის თუ რას ნიშნავს აღნიშნულ სახელმწიფოთა მეგობრობა, რაც აფრთხობს დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიულ კაპიტალისტურ სახელმწიფოებს.

მართლაც და ასეთი მეგობრობა, რომელიც გამოწვეულია თანამედროვე მსოფლიო ზომსადარით წარმოებულ რევოლიუციონურ მოძრაობით, ანვითარებს და გზას უკაფავს აღმოსავლეთის ერებს, რომელნიც განიცდიან სასტიკ ეკონომიურ დაჩაგვრას და მონობას ევროპის სახელმწიფოთა კოლონიალური პოლიტიკის წყალობით. ამ ერების ამოძრავება და გამოღვიძება უკანასკნელ ამბების გამო, სახელდობრ ოსმალთა გამარჯვებით მიღწეული და მასთანვე საბჭოთა რესპუბლიკების თანაგრძნობა, ცხადია მახვილს სცემს თავისთავად იმათ მოქმედებას, ვინც კოლონიალური გზით განიზრახა ამ ერების განადგურება, დაჩაგვრა. ამ ერების გამოფხიზლება, ეროვნულად ფეხზე წამოდგომა ცხადია თანდათანობით ჩაებმის მათ იმ რევოლიუციონურ მოძრაობაში, ურომლისოდაც სრული მიღწევა შეუძლებელი ხდება. მასთანვე მთელი აღმოსავლეთი, ანუ სწორედ რომ ვსთქვათ ოსმალეთის გარეშე მყოფი მუსლიმანური ქვეყნები თავის მხრივ ყოველ ღონეს იხმარენ, რათა განთავისუფლებული უცხო მჩაგვრელებიდან, შეუტიონ თავიანთ მჩაგვრელებსაც, რომელნიც ხელში შერჩებათ ეცხნულების შემდეგ და აი სწორედ აქ არის საჭირო ის აჯანყებითი ცეცხლი, რომელიც უნდა მიეცეთ მათ საბჭოთა ქვეყნებიდან, სადაც უკვე რევოლიუციის წიაღში გამოიბრძმედა თანდათან მასები.

ამდაგვარი პირობებიც ცხადია ხელს უწყობს ოსმალთა მდგომარეობას და მათი მოთხოვნილებანი გადაჭრით ითხოვს განხორციელებას. ასე, თითქმის ყოველი მოვლენა თავის თავად ქემალ ფაშის ანუ ოსმალეთის დიდ ეროვნულ კრების და მაშასადამე მთელ ოსმალეთის სასარგებლოდ მიმდინარეობს.

მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ ერთი მთავარი მიზეზი, რომელიც ყოველივე ზემო აღნიშნულის პირისპირ არის დაყენებული და რომელიც კატეგორიულად მოითხოვს ოსმალეთის დიდ ეროვნულ კრებისაგან მის განხორციელებას, მის გადაწყვეტას. ეს არის ეროვნული საკითხი თვით ანატოლიაში, ქემალ ფაშის ანუ ოსმალეთის დიდი ეროვნულ კრების სამფლობელოში, საერთოდ ოსმალეთში. რომ ეს საკითხი მწვავედ დგას ანატოლიაში, ამას მოწმობს ეროვნების მიხედვით აფერადებული მოსახლეობა, რომელიც არის ანატოლიაში და მასთანვე ის მრავალი აჯანყებები, რომელიც გამუდმებით ხდება იქ და რომლის წინააღმდეგაც მრავალი დივიზიები იხსნებოდა ფრონტიდან ქემალის განკარგულებით და იგზავნებოდა ამ აჯანყებათა ჩასაქრობად. ეს იყო ქურთების ცნობილი აჯანყებები, რომელსაც ვერ მოუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეს ბოლო ვერავითარ რეპრესიებმა, რომელნიც სულ ახალ და ახალ სიმძაფრით იჩენდენ ხოლმე თავს. ბერძნები და სომხები რომ არ ავიღოთ, აუცილებლად საჭიროა შევეხოთ ქურთებს, არაბებს, ლაზებს და კავკასიიდან გადასახლებულ მთიელებს.

ეს საკითხი მწვავე საკითხია დღევანდელ ოსმალეთის განმანთავისუფლებელ მოძრაობაში და აუცილებლად უკარნახებს ახალ ოსმალეთის დღევანდელ ხელისუფალთ მათ მისცენ სათანადო პასუხი. შემდეგ წერილში ვეცდებით შევეხოთ ამ საკითხს.

**ხახა ახლანიშვილი**

# ამიერ-კავკასიის საბჭოთა ყრილობა

ბაქო. 11 დეკ. 10 დეკემბერს საღამოს საზეიმოდ მორთულ დარბაზში გაიხსნა ამიერ-კავკასიის საბჭოთა პირველი ყრილობა ბაქოს საბჭოს რაიონულ საბჭოების, აზერბეიჯანის პროფკავშირთა საბჭოს პროფკავშირთა გამგეობის ქარხნის კომიტეტების, არმიის ფლოტის და ახალგაზრდობის კომკავშირის წარმომადგენლების მონაწილეობით. ყრილობაზე ჩამოვიდა აზერბეიჯანიდან საქართველოდან, სომხეთიდან, აჭარიდან და აფხაზეთიდან დაახლოვებით 520 დელეგატი.

ყრილობის საპატიო თავმჯდომარეებად აირჩიეს ამხ. ლენინი, ტროცკი, ზინოვიევი, კალინინი, მიხა ცხაკაია და ყრილობაზე მყოფი უკრაინის ცენტრალურ აღმასკომის წარმომადგენელი ამხ. მანუილსკი.

ყრილობის პრეზიდიუმში ირჩევენ ამხ. ნარიმანოვს, აგალი ოღლის, მახარაძეს, ელიავას, ორჯონიკიძეს, კიროვს, მიასნიკოვს, ორახელაშვილს და სხვ.

დღის წესრიგშია შემდეგი კითხვები: საბჭოთა ფედერაციის შინაური და საგარეო მდგომარეობა, ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების საკავშირო საბჭოს მუშაობის ანგარიში:

ამიერ-კავკასიის კონსტიტუცია; სამეურნეო საკითხები—ნავთის მრეწველობა ბამბის მოშენება, მორწყვა: წითელი არმია და ფლოტი; ამიერ-კავკასიის ცენტრალურ აღმასკომისა და სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების ყრილობის დელეგატების არჩევნები.

მოხსენება პირველი საკითხის შესახებ წაიკითხა სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასკომის აზერბეიჯანის ცენტ. აღმასკომის წევრმა და აზერბეიჯანის კომპარტიის მდივანმა ამხ. კიროვმა.

აუარებელი მისალმებანი საქართველოდან სომხეთიდან, აჭარიდან და აფხაზეთიდან მოწმობს იმას, რომ დიადი მიზანი—საბჭოთა სახელმწიფოების გაერთიანება ერთ მჭიდრო კავშირში მიღწეულია.

ყრილობის მუშაობის ძირითადი შინაარსი იქნება ამიერ-კავკასიის და საერთო საბჭოთა ამოცანების დაყენება ეკონომიური აღმშენებლობის სფეროში.

დიდი ენტუზიაზმი გამოიწვია ბაქოს პროლეტარიატის შორის.

ამხ. მანუილსკის მისალმებამ რომელიც ლაპარაკობდა საფრანგეთის კომპარტიის სახელით.

ბაქოს მუშები მოხარული არიან და ამაყობენ, რომ ნავთის სამრეწველო ქალაქში ხედავენ ამიერ-კავკასიის საბჭოთა პირველ ყრილობას.

ყრილობა გაგრძელდება სამი დღით.

# უცხოეთი

**ინგლისის კაბინეტის სხდომა.**

**მანჩესტერი.** დეკ. 11. პარიზიდან გაფაციცებული ყურადღებით მოელიან ინგლისის კაბინეტის სხდომის შედეგებს, რომელიც ბონარ ლოუმ მოიწვია რურის ოლქის ოკუპაციის შესახებ პუანკარეს მიერ შეტანილ წინადადების განსახილველად. ფიქრობენ რომ პუანკარეს ამ წინადადებით განზრახული აქვს მიაღწიოს მხოლოდ ზოგიერთ დაპირებებს ინგლისის მთავრობის მხრივ.

**თათბირის ხამი კვირით გადადება.**

**ლონდონი.** დეკ. 12. ლონდონის კაბინეტის სხდომის შემდეგ დღეს შესდგა გარეშე საქმეთა სამინისტროსთან მოკავშირეების პრემიერების თათბირი ფიქრობენ, რომ დღეს საღამოს თათბირი გადაიდება 3 კვირით იმის გამო, რომ ბონარ ლოუმ მონაწილეობა უნდა მიიღოს თემთა პალატაში.

**მოსკოვი** 11 დეკ. ირლანდიის რევოლუციონერების სიკვდილით დასჯამ დიდი აურზაური გამოიწვია მთელ ირლანდიაში. დუბლინის მთავრობის წევრებს მოსდით მუქარის წერილები. მორკის მუნიციპალიტეტმა საჯაროდ გამოიტანა საპროტესტო რეზოლუცია სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ. დასავლეთ ირლანდიაში დაპატიმრებულია 80 თავისუფალი მსროლელი—მიამოხი, ... კი ლერსიონის მეთაურობით. მოელიან ახალ სიკვდილით დასჯას.

ირლანდიის კომუნისტების ორგანო „უორკერს რესპუბლიკი“ მოუწოდებს ირლანდიის მუშათა კლასს აქტიურ გამოსვლებისაკენ ირლანდიის რევოლიუციონერების სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ.

ნიუ-იორკში მყოფი ირლანდიის გენერალური ელჩი გადადგა თანამდებობიდან ირლანდიის რესპუბლიკანელების სიკვდილით დასჯის წინაალმდეგ პროტესტის ნიშნად ირლანდიის მთავრობის ოფიციალური ცნობების თანახმად დუბლინში პალატის წევრის ხილსის მკვლელობისათვის სიკვდილით დასაჯეს შეამბოხეთა 4 ლიდერი.

ირლანდიის პარლამენტის წევრს ხოლსს და სმაილს თავს დაესხნენ უცნობთა ჯგუფმა დეპუტატებს რამდენჯერმე ესროლა ხილსი მოკლულია, სმაილი დაჭრილია.

**ბრიტანეთის კომპარტია.**

**მოსკოვი** 11 დეკ. ბრიტანეთის კომპარტიამ გამოაქვეყნა მანიფესტი, რომელშიაც აღნიშნავს, რომ მუშათა პარტიამ გაიმარჯვა არჩევნებში ერთიან პროლეტარულ ფრონტის წყალობით ერთიან ბრძოლის ფრონტს დახმარება უნდა გაუწიოს პომავალშიაც მუშათა მთავრობის სასარგებლოთ წარმოებულ ბრძოლაში. კომუნისტები მხარს დაუჭერენ მუშათა პარტიას მანამ, სანამ ეს უკანასკნელი იცავს წმინდა მუშათა პოზიციაზე. ინგლისის პროლეტარიატმა უნდა აწარმოოს მომავალში ენერგიული მუშაობა პარლამენტის გარეშე.

**მშვიდობიანობის საერთაშორისო კონგრესი.**

**მოსკოვი** 11 დეკ. ამსტერდამის ინტერნაციონალის მოწვევით, სრ. რუსეთის პროფკავშირთა საბჭოს დელეგაცია ლოზოვსკის რადეკის და მელნიჩანსკის შემადგენლობით გაემგზავრა ჰააგაში მშვიდობიანობის საერთაშორისო კონგრესზე.

**იტალიის პარლამენტში.**

**მოსკოვი.** 11 დეკ. მუსოლინმა დაითხოვა იტალიის პარლამენტი განუსაზღვრელ ვადამდე.

„ჯიორნო გრადიდის“ კორესპონდენტს მუსოლინმა განუცხადა, რომ პარლამენტის დათხოვნის მიზეზია იტალიის დეპუტატების დაღლილობა; დეპუტატები საჭიროებენ ხანგრძლივ შვებულებას.

**ფაშისტების წინააღმდეგ.**

**მოსკოვი.** 11 დეკ. იტალიის პარლამენტი შეუდგა შეიარაღებულ თავდაცვის ორგანიზაციას ფაშისტების ტერორის წინააღმდეგ. ტურინში გაიმართა თავდაცვის არალეგალური კომუნისტური ორგანიზაციის დემონსტრაცია. ლიბკნეხტის, როზა ლუქსემბურგის და ტროცკის სახელობის მუშათა პოლკები დროშებით შეიარაღებულნი ორ ბატალიონად მწყობრად გაიარეს ქუჩებში საკენ. დემონსტრაციაში მონაწილეობას იღებდა კომუნისტურ პარტიის ცენტრ. კომიტეტის წარმომადგენელი და თავდაცვის გენერალური ინსპექტორი.

# ახალი ამბები

— პაკეტების გაცვლა-გამოცვლა. რ. ს. ფ. ს. რ. და ამიერ-კავკასიის დაწესებულებებს შორის დაწყო პაკეტების გაცვლა-გამოცვლა.

— საერთაშორისო დეპეშების გაცვლა-გამოცვლა. ნებადართულია საერთაშორისო დეპეშების გაცვლა-გამოცვლა ყველა საგაჭრო წარმომადგენლობისათვის უცხოეთის სახელმწიფოებისა და კერძო სავაჭრო-სამრეწველო ფირმებისათვის. ნებადართულია დეპეშების გადაცემა იტალიაში, ალბანეთში, კოლონიაში, რუმინეთში, სამხრეთ სლავიაში და ოსმალეთში. სპარსეთში გაგზავნა იწარმოებს მცირეოდენ შეზღუდვით.

# ვეფხი ტფილისის მიდამოებში

4 დეკემბერს, სოფ. ლელოვანში, რომელიც მდებარეობს ჩრდილოეთ დასავლეთით 22 ვერსის მანძილზე ქ. ტფილისიდან, მოკლულ იქნა ვეფხი. წინა დღით უკვე ოდ დაიკარგა ამ სოფლის ხარი, შემდეგ მეორე დღეს დილით დაიკარგა ძროხა. ამ გარემოებამ ლელოვნელ ადგილობრივი მცხოვრებნი ოთხმა ადგილობრივ მონადირემ: გიორგი წითურიშვილმა, ალექსი წიკლაურმა, იოსებ წიკლაურმა და სიმონ ბექაურმა გადაასწყვიტეს ელოდიჩინათ ეს უხილავი მტაცებელი. იმავე დღეს, ვეფხი ძებნის შემდეგ ადგილით მიაგნეს ვეფხის ბუნაგს, რომელიც მას მიეწყო ახლო მდებარე ტყეში. მხეცმა, როგორც კი დაინახა ახლო მოსული მონადირენი, ელვისავით გამოვარდა ბუნაგიდან და ის იყო აპირებდა სასიკვდილო ნახტომს, რომ ისაც მას ერთბაშად ოთხივე მონადირემ დაახალა თოფები და მოსტეხეს უკანი ფეხი. ამ გარემოებამ გადაარჩინა ის ნავეფხის ბასრი კბილებისაგან. მოუხედავად ასეთი მძიმე ჭრილობისა, საშინელი მხეცი მაინც სცდილობდა მისწვდომოდა თავის მტრებს და ზედით აშვერილ თათებით ბზრიალასავით ტრიალებდა ჰაერში, მხოლოდ ათიოდე მძიმე ჭრილობის შემდეგ დალია სული.

ვეფხი ამ უკანასკნელ ასი წლის განმავლობაში არავის უნახავს საქართველოს საზღვრებში. ყველა ცნობანი ვეფხის ნახვისა საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებში ეხებიან არა ვეფხს, არამედ კავკასიის Felis partus tubianus (Valen—დინამ ავლებით შეიძლება ვსთქვათ, რომ მოკლული ვეფხი მოსულა ტალიშიდან) ლენკორანის მხრით, ბაქოს გუბერნია, სადაც ის იმყოფება ბინადრად. ალბათ ვეფხი ნადირობდა გაჩეხილ ლორებზე ჩალაკალებში მტკვრის ნაპირებზე და ამ ნადირობამ გაიტაცა იის შორს. უნდა ვიფიქროთ, რომ მდინარე ხრამის ან და ალგეთის შესართავთან მან დასტოვა მტკვრის მიდამოები და გაჰყვა ამ ერთ ერთ მდინარეს ... ხედა სოფელ ლელოვნის მიდამოებში.

მოკლული ვეფხი წარმოადგენს მშვენიერ ეგზემპლიარს. ტყავს ფერი და მისი ნახატი, აგრეთვე მესამე დრძილის ეკრეთწოდებულ სიმხეცის კბილი მოწმობენ რომ, ის ეკუთვნის კასპიის რასას—Septentrioriales ოქროს ფერი ტყავი დახაზულია შავი ზოლებით. ბალანი შუა ზომისაა. უზარმაზარი თავი კისერთან შემოსილია გრძელი ბალნით: თავიანი ვერშოკის სიგრძე. ტანის სიგრძე კუდის თითქმის 3 არშ ნახევარი, (3 არშ. 32 სანტიმეტრი).

ამ ქ მაღ ფეხი გადაეცა მუზეუმს ტაქსიდერმიულ ლაბორატორიაში მომუშავე ტაქსიდერმისტ კ. კრულს გასაკეთებლად.

საქართველოს მუზეუმის ზოოლოგიურ განყოფილების გამგე **ივანე ჩხიკვიშვილი.**

„კომუნისტი“.

# დაუფასებელი მოღვაწე

**დიმიტრი მოსეს ძე დუმბაძე**

(შემდეგი *)

ერთმა მისმა წერილმა სახელდობრ: „ჩვენი ტაკოე ხაროში ურონ“ დიდი ყურადღება მიიქცია არა თუ ადგილობრივ პედაგოგებისა, არამედ რუსეთისაც. ეს წერილი დაბეჭდილი იყო რამდენსამე რუსულ გაზეთში და პედაგოგიურს ჟურნალებშიაც. იმავ დროს, დიმიტრი დუმბაძე კერძო გაკვეთილებსაც აძლევს ბევრს უფასოთ, ღარიბებს.

1902 წ. მაშინდელის მთავრობის ნებართვით მეტეხის ციხეში პატიმართათვის ხსნის ქართულს, რუსულს, სომხურს და თათრულს სკოლებს; თვითონ უსასყიდლოდ ხელმძღვანელობს ამ სკოლებს, რომელნიც ტუსაღები სწავლობდენ წერა-კითხვას თავის სამშობლო ენაზედ. ასევე სხვა საგნებსაც სამშობლო ენაზედ. იმავე ციხეში, დიმიტრი დუმბაძის თაოსნობით არსდება ტუსაღებისთვის ქართულ რუსულ წიგნთსაცავი და სამკითხველო. იმავ დროს, დიმიტრი დუმბაძე მონაწილეობას ღებულობს ყველა ქართულ საზოგადო საქმეში 1903 წ. მას დრამატიული საზოგადოება ირჩევს საზოგადოების გამგეობის წევრად. თხუთმეტი წლის განმავლობაში გატაცებით ემსახურება ქართულს თეატრს ყველამ კარგათ უწყის, თუ რა უკუ პირობებში იყო ჩაყენებული მაშინ ქართული თეატრის საქმე. ამ ხნის განმავლობაში ამან გამოიჩინა, დიდი უნარი და ზნე თეატრის საქმეებში.

1904 წ. დაწყებული 1917 წლამდე დიმიტრი დუმბაძე მხურვალე მონაწილეობას იღებს ტფილისის თავ. აზნაურ. გიმნაზიის საქმეებში და საზოგადო კრებებზედ იგი იცავს სულს რაციონალურს

*) იხ. „ტრიბუნა“ № 367.

# მთავარ კომიტეტის გაფართოებული სხდომა.

**ამხ. სიმონ ხუნდაძის სიტყვა.**

(გაგრძელება)

პოლიტიკურად ამ კრიზისებს მეტად ართმევენ წონასწორობის საკითხი და კლასთა უმწვერვალესი დაპირისპირება. დღეს მსოფლიოში არსებობს ორი სხვა და სხვა ტიპის ქვეყნები, რომელთა სოციალ-პოლიტიკური მიზნები და მეთოდები რადიკალურად განსხვავდება ერთიმეორისაგან. საბჭოთა რესპუბლიკები ამ ხუთი წლის განმავლობაში მეტად გამაგრდნენ და საერთაშორისო პოლიტიკის ერთ მთავარ ცენტრად შეიქმნენ. თუ ამდენხანს კაპიტალისტური მსოფლიო მას არ ცნობდა და არ სურდა „მსოფლიოს ბანდიტებთან“ საუბარი, დღეს ამ რესპუბლიკების გარეშე ვერც ერთი საერთაშორისო კითხვა ვერ წყდება რეალურად. მსოფლიოში არსებობა ასეთი სხვა და სხვა ტიპის (კაპიტალისტურის და სოციალისტურის) სახელმწიფოებისა ძირს უთხრის მშვიდობიანობის აღდგენას: პოლიტიკურად მსოფლიო მეტად გამოურკვეველ მდგომარეობაში იმყოფება. ეს არის ქაოტური მდგომარეობა, საიდანაც ან ერთი ახალი ტიპის მსოფლიო უნდა წარმოიშვას (საბჭოთა წყობილება) ან უკან უნდა დაიხიოს და აღდგეს კაპიტალისტური ბატონობა. ასეთ პირობებში შეუძლებელი არის პოლიტიკური წონასწორობაზედ ლაპარაკი. მსოფლიო შეიარაღებულ მდგომარეობაშია, დღეს მხოლოდ ისვენებს და მომენტს უცდის გადამწყვეტი ბრძოლისათვის ორ მოწინააღმდეგე ბანაკთა შორის.

თვით კაპიტალისტურ ქვეყნებში დაირღვა წონასწორობა მით, რომ მსოფლიოს რუქიდან ამოიშალა ავსტრო-უნგრეთი, დაიღუპა გერმანიის იმპერია და აღმოცენდნენ ახალი პოლიტიკური ერთეულები. ამ გადაჯგუფების პროცესში დაისვა საკითხი ახალი კოალიციისა და ჰეგემონიის მოპოვების შესახებ. იმპერიალისტური სახელმწიფოები იბრძვიან ამ ბატონობის მოსაპოვებლად და ემზადებიან ახალი ომებისათვის. წონასწორობა ვერ—შეიქმნება სანამ პოლიტიკური სიმტკიცე არ ჩამოვარდება. პოლიტიკური სიმტკიცის შექმნას კი ძირს უთხრის ახალი საფრთხე—ომებისა და ინტერესთა წინააღმდეგობანი. ამერიკა უპირისპირდება ინგლისს და მის წინააღმდეგ იყენებს საფრანგეთს, სამაგიეროდ ინგლისი ამერიკის საწინააღმდეგოდ იყენებს იაპონიას. ამ საერთაშორისო ლაბირინთში გარდუვალი ზღუდეები არის აღმართული, რომელთა ძლევა არ ძალუძს კაპიტალისტურ მსოფლიოს. ომის აჩრდილი კვლავ თავს დასჩხავის კაცობრიობას. კონკურენტებმა ვერ შესძლეს განიარაღების საკითხის პრაქტიკულად გადაწყვეტა ვაშინგტონის კონფერენციამ შეიარაღების შეუშუპა ხელი, ამერიკა გაორკეცებული ენერგიით იარაღდება მისი სამხედრო ფლოტი კოლოსალური სისწრაფით ძლიერდება. თუ ომამდე ქონდა ორი მილიონი ტონი გემებისა და მეშვიდე ადგილი ეჭირა მსოფლიოში, დღეს 14 მილიონამდე აიყვანა და მისი პროგრამით 1925 წლისათვის მას ეყოლება იმდენივე, რამდენიც ერთ რომელიმე სახელმწიფოს მსოფლიოში, გულისხმობს ინგლისს. მეორეს მხრით არც ინგლისი და იაპონია არიან ხელდაკრეფილ მდგომარეობაში და ისინიც ემზადებიან შეტევისათვის. შეიარაღებულ მდგომარეობის მხრივ, თუ მსოფლიოში ომამდე 7 მილიონამდე შეიარაღებული ძალა იყო, დღეს ეს 11 მილიონამდე აღწევს. ეს ფაქტი ამტკიცებს, თუ რაში და როგორ იჩენს თავს მსოფლიოს დღევანდელი მდგომარეობა და რა მოელის კაცობრიობას სულ ახლო მომავალში.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მსოფლიოს დამშვიდებას ართულებს აგრეთვე კოლონიალური რევოლიუციები და უსრულებელი რევოლიუციები ამერიკაში, ახლო აღმოსავლეთში, ინდოეთში ნათელი მაჩვენებელია იმისი, თუ როგორი ყოფაშია კაცობრიობა.

ევროპის პოლიტიკურ დაუდგრომლობას ამტკიცებს გახშირებული საერთაშორისო კონგრესები რომელნიც ვერავითარ შედეგებს ვერ აღწევენ და მთავრობათა დაურღვეველი კრიზისები. აგრეთვე პოლიტიკურ პარტიათა ახალი გადაჯგუფებანი, როგორც რეაქციონერ ბანაკში, ისე სოციალისტურ წრეებში, ახალი კოალიციები და პარლამენტარული კრიზისები.

მაგრამ ამ პოლიტიკურ ფაქტორებთან ერთად კაპიტალიზმის რეცტავრაციასა და მშვიდობიანობის აღდგენას ხელს უშლის კლასთა ბრძოლის უმწვერვალესად განვითარება და სოციალური მომენტები. მუშათა კლასის გაღატაკება უმწვერვალეს ხარისხს აღწევს კაპიტალის ეკონომიური შემოტევა მუშათა კლასს აჯგუფებს და კაპიტალთა შორის წინააღმდეგობას, ისინი გაერთიანებული ფრონტით უპირისპირდებიან კაპიტალიზმ მუშათა კლასი გამ ფეხზედ ისეთს ქვეყნებშიაც, სადაც მუშაობა მოძრაობა მიძინებული იყო. ამ მხრივ ინგლისის მუშათა მოძრაობანი და გაფიცვები საუცხოვო მაგალითებს წარმოადგენენ. გერმანიის ფაბრიკა-ქარხნები კომიტეტების სხდომაზე მუშების მთლიანად გამოსვლა ნიშნავს კლასიური უფსკრულის გათხრას კაპიტალსა და შრომის შორის.

მეორეს მხრივ საერთაშორისო რევოლიუციონური ძალები და რევოლიუციის გამტარებელი ორგანიზაციები მეტის მეტად იმარდებიან, ერთად ერთი ძალა, რომელიც უპირისპირდება კაპიტალიზმს სამყაროს ეს არის კომინტერნი. მაშინ, როდესაც კომინტერნის ძალა იზრდება და ფართოვდება, რეფორმისტული ძალები გამანადგურებელ აგონიას განიცდიან. პატარა ცნობები კომინტერნის ზრდის შესახებ ნათელს მოჰფენს ამ კითხვას: რუსეთის რევოლიუციის პირველ ხანებში კომპარტიების მეთაური წევრების ევროპის კონტინენტზედ თითზედ შეიძლებოდა ჩამოთვლა. გერმანიის „სპარტაკის“ ჯგუფი, პოლანდიის პარტია, რამდენიმე ჯგუფები სხვა და სხვა ქვეყნებში, აი რა „შიადგენდა კომუნისტური რევოლიუციის კადრს ევროპაში. მაგრამ რევოლიუციონურს მასებში ეს ორგანიზაციები მეტად გაიმართნენ, განსაკუთრებით რეფორმისტების ხარჯზედ. კომინტერნის პირველ ყრილობას 1919 წ. დაესწრო დაახლოებით 25 სახელმწიფოს წარმომადგენელი, მეორესას (1920 წ.)—35—მესამეს—(1921 წ.)—47 სახელმწიფო, და მეოთხე კონგრეს (1922 წ.) დაესწრო 55 ქვეყნის წარმომადგენელი. კომინტერნმა მთელს მსოფლიოში მოჰფინა თავისი ორგანიზაციები და მასთანვე რიცხვითაც გაიზარდა: მისი ხელობის ქვეშ დღეს სდგას 3 მილიონამდე ორგანიზაციულ და ჩამოყალიბებული პროლეტარული ელემენტები. აღსანიშნავია აგრეთვე პროფინტერნის მოღვაწეობაც, რომელიც ენერგიულად უპირისპირდება რეფორმისტებისა და კაპიტალისტების მსოფლიოს და თავს უყრის უპარტიო ფართო მასას.

დღეს პროლეტარიატი უფრო ძლიერია ევროპაში ვინემ ეს იყო პირველ პერიოდში, სამაგიეროდ კაპიტალიზმიც შედარებით უფრო უკეთეს მდგომარეობაში იმყოფება, როგორც ვხედავთ, რევოლიუციონური მოძრაობისათვის ფართო ნიადაგი არის ევროპაში მომზადებული. კაპიტალიზმმა ვერ შესძლო ეკონომიურად აღდგენა და ვერ მოაწესრიგა თავისი პირობები. სამაგიეროდ ის პოლიტიკურად გამაგრდა. მეორეს მხრივ მუშათა მასებში რამდენიმე შენელდა რევოლიუციონური ენტუზიაზმი, სამაგი-

...პედაგოგიურს დიდი აზრებს სწავლა-განზრახვის საქმეში.

1905 წ. ჩვენ ვხედავთ მას მომუშავეთ ავჭალის ამბულატორიაში, სადაც მუშათათვის იმართებოდა წარმოდგენები და სხვა ამხანაგებთან ერთად დიდს სიყვარულს, ცოდნას და მხნეობას იჩენდა წარმოდგენების მართვაში. როდესაც ზუბალაშვილის სახალხო სახლის შენება დამთავრდა, მუშებისათვის წარმოდგენების მართვა დაიწყო იმ სახალხო სახლის თეატრში. ამ წარმოდგენებს განაგებდა მაშინ ქართული წარმოდგენების სექცია ტფილისის სახალხო უნივერსიტეტისა.

1906 წ. დიმიტრი დუმბაძე არჩეულ იქნა ამ სექციის გამგეობის წევრათ და ასრულებდა ხაზინადრობის მოვალეობას და ხან მონაწილეობას იღებდა თვით წარმოდგენებშიაც და სცენაზედაც გამოდიოდა, როგორც სცენის მოყვარე. ყველა ამხანაგებში დიმიტრი იყო ცნობილი, როგორც უანგარო მუშაკი.

1907 წ. ივლისში, დიმიტრი დუმბაძეს დიდი უბედურება დაატყდა თავს. ერთ-ერთ დღეს, შუა დღისას, როდესაც ის, როგორც გიმნაზიის შენობის კომენდანტის ზედამხედველს, ფული მოჰქონდა მუშებისათვის, იქვე სკოლის შენობის ახლოს, ვიღაც ნაძირალები დაეცნენ დიმიტრი დუმბაძეს, წაართვეს 750 მ. ნ. მუშების ფული და დამბაჩით მძიმეთ დასჭრეს. მალე თვით მუშებმა შეიპყრეს ბოროტ განმზრახველნი და გაასამართლეს იგინი. ამ გვარათ, დაუცხრომელი მოღვაწე კინაღამ მსხვერპლათ შეიქმნა საზოგადო მოღვაწეობის ასპარეზზედ.

1908—09 წ. საუნივერსიტეტო შენობა დამთავრდა და სამშენებლო კომიტეტში მუშაკობას დიმიტრიმ თავი დაანება. მის შემდეგ იგი მუდმივ და ნაყოფიერ შრომას იწყებს ტფილისის ქართულ და რუსულ პრესაში. ჟურნალისტობის ჰუნარი მას თვით სკოლის სკამზედ ეტყობოდა. მოწაფობის დროს მისი წერილები ხშირად იბეჭდებოდა გაზ. „ივერიაში“ რუსულ „ნოვოე ობოზრენიაშიც“ მზე—ჭაბუას და „შემოქმედელის“ ფსევდონიმით.

მთელის 25 წლის განმავლობაში იგი შრომობდა პრესაში და ათავსებდა პედაგოგიურ და საზოგადო ხასიათის წერილებს „ივერიაში“ გაზ. „ცნობის ფურცელში“ „ჩვენ დროებაში“ „სინათლეში“ „ნოვოე ობოზრენიეში“ „ზაკავკაზიეში“ და ბევრსაც სხვა ქართულს და რუსულს ჟურნალ გაზეთებში. მისი ფსევდონიმი იყო „დიმ. შემოქმედელი“ „ბროლი“ და სხვანიც.

1910 წლიდამ სამოსწავლო მთავრობამ ქართულ სკოლებში, მეტის მეტათ დაუწყო დევნა ქართულ ენას. კავკასიის ოლქის მზრუნველი საიდუმლო ცირკულიარებს უგზავნიდა სახელო სკოლების დირექტორებს და ინსპექტორებს სკოლებში ქართული ენის თან და თან მოსპობის შესახებ. დიმიტრი დუმბაძე ახერხებდა და ბეჭდავდა ამ საიდუმლო ცირკულიარების პრესაში გამოქვეყნებას. თავის წერილებში ეს სასტიკად ებრძოდა მთავრობის სისტემას.

დიმიტრი დუმბაძე, დიდის კანონიერის ცოდნით იცავდა ქართული ენის ხმარების ინტერესებს. ამის შესახებ დაბეჭდა მან მთელი რიგი წერილებისა გაზ. „ჩვენდროებაში“ „ზაკავკაზიეში“ „რეჩში“ და სხვებშიც ადგილობრივ ქართულს და რუსულს გაზეთებშიაც.

1912 წ. ამ ცნობილს მთავრობის ბოროტებას იგი უფრო სასტიკად შეებრძოლა და დაიწყო ქართულად და რუსულად ასეთი წერილების წერა; სახელდობრ „სწავლა-განათლება ჩვენში რუსულს ენაზედ—„იზ ჟიზნი კავკასკავო ოკრუგა“. ამ წერილში მან აღნიშნა და ნიღაბი ახადა ოლქის მზრუნველს რუდოლფს და მთავრობის აგენტებს, დირექტორებს, ინსპექტორებს და ზოგიერთა მასწავლებლებს, რომელნიც შეუდგნენ ქართული ენის სასტიკად დევნას.

ჩვენს ქართულს სახალხო სკოლებში ქართული ენის არა მცოდნე მასწავლებლების დანიშვნას. დიმიტრი დუმბაძე ამ წერილების გამო მთავრობამ სამართალში მისცა, ამის წერილების დამბეჭდავი რედაქციებიც დააჯარიმეს და ზოგიერთ გაზეთის ნომრებსაც კონფისკაცია მოახდინეს.

დიმიტრი დუმბაძე არ შეუშინდა მთავრობის მუქარებს, სასჯელს, ჯარიმებს და განაგრძობდა მაინც თავის სახელოვან მოღვაწეობას. ასე იცავდა იგი ქართულ ენას და პედაგოგიურს დიდი აზრებს სახალხო სკოლებში, ვიდრე ქართველმა ერმა არ მოიპოვა თავისუფლება და დამოუკიდებლობა. გარდა ამისა, დიმიტრი დუმბაძე დიდი მომხრე იყო და არის სამეურნეო და საპროფესიო განათლების შემოღების ჩვენში და ამ გვარი ტიპის სკოლების გამრავლებისა. ამ საკითხის შესახებ მან არა ერთი წერილი მოათავსა ადგილობრივ პრესაში.

ზ. ჭ.

(დასასრული იქნება)

## საჩივარი

ჩემზედ ჯავრობენ ჯალაბნი მალვითა ჰლესვენ მახვილსა.
პირად კი არას ამბობენ, გულშია ჰმალვენ წადილსა.
თუ გაუთენდათ, გამწირვენ ტიტველ-შიშველსა ნაპირსა!
ანგარიშს არ უსწორებენ ცხარე ოფლს ჩემგან დაღვრილსა.
მაშინ კარგ ვიყავ, როდესაც საქმეს ვაგლიდი თავპირსა,
ვწმენდდი სულ ახალ-ახალსა მამულს სავსესა ჯაგითა
ვხნავდი და კიდეც მომყვანდა ყანა მაძღარის თავთვითა
ვკვებდი მაგ მუქთა ხორებსა ვუმკიდი ყანას ნამგლითა.
მამა ხომ პირდაპირ ამბობს: შალვას არ მივცემ ნაწილსა!
სახლში უფროსად აყენებს უმცროსს ძმას ჰკვიდან შაშლილსა
დაბერდა, ვეღარ თუ ჰხედავს სახლკარს მაგისგან დაშლილსა.
ცოლის ძმებს გამააჰმივა მუქთის ჰამაზედ გაქნილსა...
ბეჭებს ვერ შამიშინებენ დუხჭირობაში გაზრდილსა!
მკლავებს შრომისთვის ცოფი სჭირს წინადაც ბევრჯელ დაღლილსა!
სამართალია ეკითხოს მშრომელ ხალხს ერთად შაყრილას.

შალვა ბეწუკლისშვილი.

# პროვინციის ცხოვრება

### სამტრედია

**დახმარება წყალდიდობისაგან დაზარალებულთ.**

გურია-სამეგრელოდან მობრუნდა საქართველოს წითელი ჯვრის თავმჯდომარე ივანე ქუთათელაძე და გ. ქუთათელაძე. სამეგრელოს შესახებ მათ შემდეგი გვაცნობეს. „სუჯუნის რაიონში მცხოვრებნი უკიდურეს გაჭირვებას განიცდიან, წყალდიდობას მათი უმწეო ყოფა უსაზღვროთ გაუმწვავებია, ამჟამად ამ რაიონში მძვინვარებს დამპალი ციება. მთავრობას ორი ექიმი გაუგზავნია რაიონში სამოქმედოთ, მაგრამ მათ მედიკამენტები არაფერი აქვთ და ამ ჟამად სრულიად უმოქმედოთ არიან. წითელმა ჯვარმა შეძლების ფარგლებში დაზარალებულთ მისცა დახმარება.

რაც შეეხება გურიას, იქ მდგომარეობა უკეთესი ყოფილა. წყალდიდობისაგან მიყენებული ზარალი თვალსაჩინოა, მაგრამ ხალხი ისე სასოწარკვეთილი არ არის, როგორც სამეგრელოში. სამეგრელოს დახმარება სჭირია ფართე მასშტაბით.

— სამტრედიაში წითელი ჯვრის თავმჯდომარემ ადგილობრივ აღმასკომს დაუტოვა დახმარების მისაცემი ბარათები, ხოლო თვით წავიდა ქუთაისის სხვა რაიონების მოსავლელად.

**განათლების მუშაკთა შორის.** ამას წინათ აქ ჩამოვიდა მოქ. ბეჟანიშვილი, რომელმაც ქუჩის ბავშთა და განათლების მუშაკთა დაზღვევის შესახებ მოხსენება გააკეთა რუსულ ენაზე. თვით კრების მოწვევა საუცბოთ და მოულოდნელად მოხდა რომელზედ დასასწრებლადაც ერ იქმნენ მიწვეულნი რაიონიდან განათლების მუშაკნი. ამის გამო კრების პირველ დღეს ზოგმა მასწავლებელმა პროტესტი განაცხადეს და მოითხოვეს კრების გადადება. კრება გაიმართა დეკემბრის წ-ს. ამ დღეს მას დაესწრენ რაიონიდან მოსული განათლების მუშაკნი. კრებას თავმჯდომარეობდა ს. ლორთქიფანიძე.

**სიმინდის ფასი.** სამეგრელოში სიმიდი ფუთი ღირს 40—50 ათ. ხოლო უბრალო სამ შაურიანი ჩითი კი 95 ათ. არშინი.

— სამტრედიის ბაზარზე მანუფაქტურის ფასმა ერთი ორად იმატა.

**ამინდი.** ქვემო იმერეთში გახშირდა წვიმები და აცივდა ძალზე.

**ადგილობრივ ტეხნიკუმში.** დ. ლოლობერიძემ და ს. ლორთქიფანიძემ ჩვენ გადმოგვცა, რომ წელს სამტრედიის ტეხნიკუმში მეცადინეობა ნორმალურად მიმდინარეობს. სასწავლებელი მიზან შეწონილად ატარებს სახალხო განათლების მოწოდებას. სასწავლებლებში დისციპლინის შემოღების შესახებ და სასწავლებლის მიერ შემუშავებული დისციპლინა უკვე ნამდვილდება ცხოვრება, რომელსაც დიდი ნაყოფიერი შედეგი აქვს.

საერთოდ ეს სამოსწავლო წელი გასულ წელზე გაცილებით ნაყოფიერი და დადებითი ხასიათისაა.

—

**ქ. ლანჩხუთი,** 1921 წ. ნოემბერში ქ. ლანჩხუთში მოქალაქე ლადიკო ტუსკიას წისქვილის კალოში დამხრჩვალი ნახეს ტუსკიას მოსამსახურე ქალი. განსვენებული ჩხაიძის ქალი იყო. ის მსახურებდა ტუსკიასას 8 წელიწადს. ყველას აინტერესებდა დახრჩობის მიზეზი. საზოგადოებაში დიდი მითქმა-მოთქმა იყო. ამბობდნენ გოგო ორსულად არისო. იქვე ჰშიოდნენ ლადიკო ტუსკიას ძმაზე—ნიკოზე. ქალის გამოსვენებას ტუსკიასთან ინცინდენტი მოჰყვა. განსვენებულის ნათესავებმა მოითხოვეს ქალის გაჭრა. მშობლებს გაუჭირდათ მიზნის მიღწევა. შემდეგ ტრადიციულად დაღუპული ქალის ერთ ჰპირისფუფალ ხელწერილიც დაადებინეს თურმე, რომ თუ ქალი ორსულად არ აღმოჩნდებოდა, მას პასუხი უნდა ეგო გადასახლებით ან დახვრეტით... როგორც იქნა ქალი გასჭრეს და აღმოჩნდა, რომ იგი ექვსი თვის ორსული ყოფილიყო. ექიმებმა შეადგინეს სათანადო აქტი. უნდა აღძრულიყო საქმე... მაგრამ საქმე მიჩუმჩუმდა. არავითარი გამოძიება და არავითარი თავის შეწუხება არავისაგან. ჩხაიძის ქალს, გარიბი საწყალ ოჯახს არ აღმოაჩნდა იმის საშუალება, რომ საქმეს მსვლელობა მისცემოდა. არც იგი იცოდნენ გზა, თუ არა ექიმების ექსპერტის შედეგი. თავგზააბნეულ ოჯახს პატრონი არ დარჩა. გავიდა კარგა ხანი, 1922 წ. ივნისში იმავე წისქვილში დილა, ყველას დასანახად, მოკლეს ნიკო ტუსკია და მისი მამა იაკინთე. მკვლელები იყვნენ ჩხაიძის ქალის ძმა აკაკი, მისი მოყვარე რამინ გობრონიძე და გვარჯალაძე. მკვლელები მიიმალნენ. ისინი დღესაც ტყეში არიან. დევნა დაუწყეს აგრეთვე გარეშეს—ლადიკო გობრონიძეს. მკვლელობაში არ მონაწილეობდა, მაგრამ უკანასკნელი გამოცხადდა მთავრობასთან და განაცხადა: ჩემი ისეთ მდგომარეობაში ჩაყენება უნდათ, რომ მე ან უნდა მომკლან და ან დევნილი ვიყო. მომეცით საშუალება პასუხი ვაგო მთავრობისა და კანონის წინაშე. თუ დამნაშავე ვიქნები—დამსაჯეთ: მხოლოდ გთხოვთ საქმე კანონიერად და ყოველმხრივ გამოარკვიოთ. მთავრობის ადგილობრივმა ორგანომ მიიღო ეს წინადადება და გობრონიძის საქმე ოზურგეთის მაზრის მილიციამ გადასცა ოზურგეთის იურიდიულ განყოფილებას ტუსაღის მასზე გადარიცხვით. იურიდიულმა განყოფილებამ ქ. ლანჩხუთში ამ ორი კვირის წინათ გამოგზავნა ორი გამომძიებელი. ისინი შეუდგნენ საქმის გამოძიებას. ცოდვები ძველი თუ ახალი უნდა გამომჟღავნებულიყო. ლადიკო გობრონიძის გამოცხადებით დაიწყო ძიება ჩხაიძის ქალის დაორსულებაში და მერე დახრჩობაში ვინ იყო დამნაშავე. აგრეთვე საქმეში გაეხვა ერთი მეზობელი ტუსკიასი კამეჭე ჩიქოვანის ქვრივი, რომელმაც ლად. გობრონიძის პირისპირ განცხადებით მოიპარა პალტოები ტუსკიების მოქ. მელ კვირკველიასას... ამდენხანს ერთმანეთის მიძულე კამეჭე ჩიქოვანის ქვრივი და ტუსკიები ერთმანეთს მეგობრობით დაუახლოვდნენ. ტუსკიებს სურთ მკვლელობა მოახვიონ თავს ლადიკო გობრონიძეს. მიზანი ისაა, რომ მკვლელობას თუ შანტაჟისტურ ნიადაგზე გადაიტანდა, მაშინ ტუსკიას ოჯახი თავიდან იშორებდა იმ ჩირქს, რომელიც მათ ჩხაიძის ქალის დახრჩობით ეცხებოდა. ჩიქოვანის ქვრივს გობრონიძე პირში უდებს პალტოების მოპარვაში. გამოძიების დამთავრების შემდეგ გობრონიძე სახალხო სასამართლოს გადაეცემოდა. სახალხო სასამართლოს ლოღიკური დასკვნა უნდა მიეცა და საქმე ერთხელ და სამუდამოთ გამოერკვიათ. ლანჩხუთში რომ დაამთავრეს გამოძიება, გამომძიებლები ოზურგეთში წავიდნენ, სადაც ტუსაღისათვის ჩვენება უნდა ჩამოერთმიათ; მაგრამ გამომძიებლებს ტუსაღი მოკლული დაუხვდათ. რა პირო-

---

...როდ ორგანიზაციულად განმტკიცდა და გაძლიერდა იგი. კლასთა ბრძოლა და გაერთიანებული ფრონტით გამოსვლა ეკონომიური მოთხოვნილებებისათვის უმწვერვალესად განვითარდა პროლეტარულ მასებში. ლ. ტროცკიმ საუცხოვოდ დაახასიათა დღევანდელი მდგომარეობა. კაპიტალიზმმა ვერ შესძლო ეკონომიური აღდგენა, პროლეტარიატი ჯერ კიდევ ახლო არ არის პოლიტიკური ძალაუფლების დასაპყრობად. ეს გამოთქმა ნათლად ახასიათებს საერთაშორისო ვითარებას.

გასულ პერიოდში ტალღა რევოლიუციონური მოძრაობისა მეტად მაღლა აიწია, აიზნიქა, დღეს იგი დაეშვა, დაიწია, მიუხედავად ამისა ზღვა მაინც ბობოქრობს და მღელვარებს. რევოლიუციონური პერიოდი არ დამთავრებულა და ვერც დამთავრდება პროლეტარიატის გამარჯვების გარეშე. თანამედროვე ეპოქა არის უაღრესად რევოლიუციონური. ბურჟუაზიის პოლიტიკური გამარჯვება არ ნიშნავს რევოლიუციის დასასრულს. ასე შეუძლიათ იმსჯელონ სხვა და სხვა ჯურის რეფორმისტებმა, რომელნიც კაპიტალიზმის ლიკვიდაციის თეორიაზედ აგებენ სოციალიზმის განხორციელების საქმეს. მთელი რიგი საერთაშორისო ფაქტორებისა ჩვენ გვეუბნება, რომ კაპიტალიზმმა ვერ შესძლო წინააღმდეგობათა დაძლევა და საშინელ კრიზისში იმყოფება. ასეთს შემთხვევაში მოქნილს რევოლიუციონურს ტაქტიკას შეუძლია გადამწყვეტი როლი ითამაშოს საბოლოო გამარჯვების საქმეში. პროლეტარიატის მიზანშეწონილი რევოლიუციონური აქტივიზმით შესაძლებელი ხდება კაპიტალისტური სისტემის საბოლოო აფეთქებამდე.

როგორია კომინტერნის ტაქტიკა თანამედროვე პერიოდში? ჩვენ უკვე ვიცით ამ პერიოდის დამახასიათებელი მომენტები და კაპიტალის შეტევითი გეზი მუშათა კლასის მიმართ ეკონომიურსა და პოლიტიკურს ნიადაგზედ. ეკონომიურად კაპიტალი ცდილობს თავისი მოგების მთავარ წყაროდ გადააქციოს მუშათა კლასი. სამუშაო დღის გადიდება, ხელფასის შემცირება, უმუშევართა კადრი, ამ პოლიტიკის მომენტებია. პოლიტიკურად კაპიტალი ცდილობს მოსპოს მუშათა კლასის რევოლიუციონური ენერგია. ამ მიზნით იგი სახელმწიფო აპარატთან ერთად ჰქმნის რეაქციონურ დამხმარე ორგანიზაციებსაც. ფაშიზმი ამ პოლიტიკის დამახასიათებელი მოძღვრებაა. მისი გამარჯვება შედეგია საერთაშორისო მდგომარეობის გამწვავებისა და კაპიტალის თავდასხმაზედ გადასვლისა.

ასეთს გარემოებაში პროლეტარიატს დარჩა ერთად ერთი გზა თავდაცვა და იმავე დროს მზადება გადამწყვეტი შეტევისათვის. გაერთიანებული ფრონტი პროლეტარიატისა ამ საერთო ნიადაგზედ არის აღმოცენებული. მან ერთის მხრით უნდა დაიცვას მუშათა კლასის ყოველდღიური მოთხოვნილებანი და მასთანვე გააერთიანოს პროლეტარული მასები პოლიტიკური ძალა-უფლების დასაპყრობისათვის. მაგრამ გაერთიანებულ ფრონტის ტაქტიკას აქვს კიდევ ერთი აზრი: ის ფაქტიურად მიმართული არის რეფორმისტების წინააღმდეგ. როგორც ვიცით, რეფორმიზმმა ისტორიული ღალატის როლი ითამაშა რევოლიუციის დამარცხებაში. რევოლიუციონურს პროცესში მენშევიზმს რომ ღალატი არ ჩაედინა და არ გაემაგრებინა ზურგი მთელს რიგ ქვეყნებში ბურჟუაზიისათვის, დღეს ჩვენ სულ სხვა გვარ მდგომარეობასთან გვექნებოდა საქმე ევროპაში. 1918—20 წლები იყო უაღრესად რევოლიუციონური ენტუზიაზმის პერიოდი. მთელი ევროპა რევოლიუციის ალში იყო გახვეული და ხელიდან ხელში გადადიოდა პოლიტიკური ძალა უფლება. რევოლიუციის მოლოდინში ტრთოდა მთელი ევროპა, რევოლიუციის შესაძლებლობას აღნიშნავდნენ, როგორც ბურჟუაზიის მესვეურები, ისე რეფორმისტებიც. ამხ. კარლის რადეკის მიერ თავის სიტყვაში მოყვანილია ლოიდ-ჯორჯის წერილიდან, რომელიც მას მიუწერია იტალიის პრემიერისათვის, ნათლად მტკიცდება, თუ როგორი შესაძლებლობის წინაშე იდგა ევროპა ამ 3—4 წლის წინად. ერთი იტალიელი რეფორმისტი გარკვევით აღნიშნავდა აგრეთვე, რომ ეს პერიოდი იტალიისათვის უაღრესად რევოლიუციონური იყო და პროლეტარიატს ადვილად შეეძლო ძალა უფლების ხელში ჩაგდება. რამ შეუშალა ხელი?—ამაზედ პასუხს გვაძლევს იმავე იტალიის ცნობილი რეფორმისტი დ,არაგონა, რომელიც აცხადებს, რომ რეფორმისტებმა გადაარჩინეს იტალია რევოლიუციისაგანო. მართლაც, როდესაც 1920 წლის სექტემბრის თვეში იტალიის პროლეტარიატმა ქალაქებში ხელთ ჩაიგდო ქარხნები და მიწის მუშებმა კი სოფლად მიწები, რეფორმისტები მოციქულად ჩადგნენ ფეოდალებსა და პროლეტარიატს შორის და მშვიდობიანობის გზით მოისურვეს საკითხის გადაჭრა. ბურჟუაზია მეტად დიდ დათმობაზედ წავიდა, პროლეტარიატი მოატყუა რეფორმიზმმა და ისიც დასთანხმდა მორიგებას. შედეგად მივიღეთ მუშათა კლასის დამარცხება და ფაშიზმის დიქტატურა. მსგავსივე მაგალითები განმეორდა ევროპის სხვა ქვეყნებშიაც. ეს ფაქტები ამტკიცებენ, რომ თუ რეფორმისტულ აზროვნებისაგან და პოლიტიკისაგან არ გაიწმინდა მუშათა მასა, იგი ისე ვერ მიაღწევს სრულს გამარჯვებას. გაერთიანებული ფრონტის ტაქტიკა ამ გაწმენდისაკენ არის მიმართული. ის სტრატეგიული მანევრია რეფორმისტების პოლიტიკის გამოსაამჟღავნებლად. ეს ტაქტიკა არ უარყოფს რეფორმისტებთან ერთად ბრძოლას მუშათა კლასის ინტერესებისათვის. გაერთიანებული ფრონტი აღიარებს ასეთს გეგმებსა და მოთხოვნილებებს, რომელიც შეადგენს აუცილებელ მოთხოვნილებას მუშათა კლასის არსებობისათვის. იმდენად, რამდენადაც რეფორმიზმი ხელს აიღებს ასეთი ბრძოლისაგან, იმდენად ის ამჟღავნებს თავის მოღალატეობას და მუშათა კლასი გვერდს აქცევს მას. ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების სხდომაზედ პარტიულმა მასებმა არ დაუჯერეს რეფორმისტულ ბელადებს და წინააღმდეგ მათი პოლიტიკისა, კომუნისტებთან ერთად გაამაგრეს ერთიანი ფრონტი პროლეტარიატისა.

ხშირად ამბობენ და კომინტერნს უსაყვედურებენ, რომ ის იცავს რეფორმისტებთან დამოკიდებულებას ბურჟუაზიულ ქვეყნებში და წინააღმდეგი არის ასეთი დამოკიდებულებისა საბჭოთა ქვეყნებში. რამდენათ მართალია ასეთი საყვედური? —ევროპაში რეფორმისტებთან კავშირი ფაქტიურად ნიშნავს ბურჟუაზიული ფრონტის დასუსტებას. კავშირი შესაძლებელი იქნება, მაშინ, როდესაც რეფორმისტები გასწყვეტენ პოლიტიკურს კონტაქტს ბურჟუაზიასთან. ეს ფაქტიურად ნიშნავს ბურჟუაზიის დასუსტებას. საბჭოთა რესპუბლიკებში კი მემარჯვენეთა სოციალისტებთან თანამშრომლობა ნიშნავს საბჭოთა ხელისუფლების დასუსტებას. თანამშრომლობის საკითხი შეიძლება დაისვას ევროპაში, სადაც ჩამოაცილებს კაპიტალისტებს ერთ დიდ დასაყრდენ ყავარჯენს, ხოლო საქართველოში შეუძლებელია ეს, რადგან შეუძლებელია პოლიტიკური თანამშრომლობა მემარჯვენე ელემენტებთან მაშ, როდესაც ისინი უარყოფენ თვით საბჭოთა სისტემის არსებობას. ასეთი „თანამშრომლობა“ ძირს გამოუთხრის საბჭოთა წყობილებას, რეფორმისტების არსებობა, როგორც ვიცით, პარლამენტარიზმის აღდგენაში გამოიხატება. ეს კი აშკარა რეაქციონური მოთხოვნაა.

(შემდეგი იქნება).

ბებში მოხდა ლ. გ—ძის მკვლელობა დაწვრილებით არ ვიცით. მხოლოდ ხალხში ცუდი ხმები დადის. არ კმარა „დაიქცა და მოვკალით". ხალხმა იცის, რომ გობრონიძე დაქცეული იყო და თავისი ნებით გამოცხადდა. მეორე—გობრონიძემ იცოდა, რომ მას, არამც თუ დასაქცევი ჰქონდა რამე, პირიქით უნდა გამოსულიყო და სრულიად განთავისუფლებულიყო. ესამე—წერილიც მოეწერა შინ, რომ ჩემი საქმე ლანჩხუთის სახამართლოს გადასცეს და ახლა თავდებში გამოყვანენო.

მეოთხე—საინტერესოა ვიცოდეთ—რა უფლებით მაზრის მილიციის სამმართველომ ტუსაღი, რომელიც მან თითონ თავისი დადგენილებით ფორმალურად განკუთვნილებას გადასცა და მასზე გადაწყვიტა, გამოძიების პროცესში, ღამის 11 საათზე გამოიყვანა და „დაზვერიტა გასაქცევისათვის". მეხუთე ხალხს საგონებელში აგდებს ის გარემოება, რომ ტუსკიები მდიდრებია..,

შემდეგ თითონ გრ. ტუსკიამ განაცხადა რამდენიმე კვირის წინათ, „რომ ხშირია შემთხვევა, რომ დამნაშავე სამართლის თავს აღწევსო. მაგრამ ლად. გობრონიძე მუხანათური სიკვდილით არ მოკვდებაო", რანაირად ახდა ეს წინასწარმეტყველება ტუსკიასი?., საქმე რო ენერგიული ზომების მიღება, რომ გულგატეხილ ხალხს, გაუბედურებულ ჩხაიძის ქალის ოჯახს და ლ. გობრონიძის გულდამწვარ ოჯახს ნუგეში მაინც იმით ეცეთ, რომ მიღუნ ჩვენელი საქმეები მზეზე გამოვიტანოთ. მუშების და გლეხების სისხლი უდანაშაულოდ იღვრება და ვილაცეები ახურხებს საქმის მიფუჩეჩებას.

მუშებისა და გლეხების ხელისუფლებამ უნდა სასტიკი ზომები მიიღოს ამ ბნელ საქმის გამოსაშუქებლად და ნამდვილ დამნაშავეებს პასუხი აგებინოს, რომ შურისძიებას ადგილი არ ჰქონდეს.

ლანჩხუთელი

## ხელოვნება

**სახალხო სახლი.**

**„მსხვერპლი"**

დეკემბერს 8, პოლიტიკური განათლების დრამატიული დასის მიერ წარმოდგენილ იქნა ი. გედევანიშვილის დრამა, „მსხვერპლი".

ეს პიესა თუმცა ოთხ მოქმედებათაა დაწერილი, მაგრამ, ხშირად სამ მოქმედებით იდგმება და ამით პიესის აზრი არაფერს ჰკარგავს, მაგრამ ამ საღამოს წარმოდგენილი იქნა მხოლოდ ორი მოქმედება.

ერთი უმთავრესი როლის აღნიშნა ამ პიესაში ძნელია—თითქოს ისეა იგი განაწილებული, რომ ყველა მოქმედ პირთ უმთავრეს შემთხვევებში, ერთნაირი სიმძიმის როლები აქვთ, მაგრამ საქოს როლი, პირველ აქტებში, მაინც გამოსარჩევია.

შეიძლება გაუზვიადებლად ითქვას, რომ ქართულ სცენაზე ნიკო გოცირიძეს ვაჟკაცი სოსოს ტიპის განსახიერებაში ბადალი ადვილად არა ჰყავს.

მას ცხოვრობა ფსიქოლოგიურად შესწავლილი საზოგადოთ ჩარჩ ვაჟკაცის შინაგანება და ყოველთვის ცდილობს მისი (ვაჟკაცის) სულისკვეთების უნაკლო გამოხატვას.

ამ საღამოს საქოს (გოცირიძე) საერთოდ, თვალსაჩინო დეფექტი არ ქონია სრულიად ბუნებრივი იყო მისი ქცევა როგორც მოქმედთან ისე „ერთობის" ხალხთანაც. მაგრამ ზოგიერთ შემთხვევებში გადამეტებულია მისი ექსპრესიული ამბის სხვა და სხვა მომენტების გადმოცემის დროს ხშირად არ არის საჭირო მსახიობი აყვეს ხალხის ტაშს და ტიპის რეალურ სახეს ცვლიდეს. გოცირიძეს ეს ხშირად ემართება.

ნ გოგუას როლის შემსრულებელს აკლია „ერთობის" ინტერესის განცდა. და ხალხის ფერმის გაგება. გოგუას თავის დაჭერა გლეხების ყრილობაზე თითქოს ამხელდა, რომ ამ კაცს ხალხთან საერთო არაფერი ქონდა. ხოლო უკანასკნელად, როდესაც მისი დანაშაული გამოაშკარავდება და ადმინისტრაციის ხელში ვარდება, თვითონ ისე ინდიფერენტულად ადარებს თავის დანაშაულს და უსიცოცხლოდ ასრულებს ამ მომენტს, რომ აშკარად ეტყობა რეალ სურათთან არა გვაქვს საქმე, და რომ ეს ხდება ემპიროს გარეშე.

აქ სჩანს როგორც მსახიობის სისუსტე ისე რეჟისორისაც.

ვანოს თამაში ხალხისათვის თავგანწირული პიროვნების დასახასიათებლად, არ იყო საკმაო. თავისი გადაწყვეტილება, სოფლის ინტერესებისათვის საკუთარი თავის მსხვერპლად მიტანისა, ძალიან ადვილად და ზერელედ გადმოგვცა. აკლდა ფსიქიური ტემპერამენტი და მაღალი იდეის განცდა. არც გრიმი ქონდა შესაფერისი.

გიგუას მეუღლე კარგი იყო უკანასკნელ მომენტში, სიკვდილის დროს. ხოლო მისი პირველი შეხვედრა (თოფის გადაცემა) ვანოსთან და ვანოს სიყვარულის გამომჟღავნება ქმრის წინაშე არ იყო დამაკმაყოფილებელი.

ბოქაულის ტიპი კარგი იყო, მხოლოდ სახის გამომეტყველება ძალიან მოიკოჭლებდა.

მოხუცი გლეხი კარგათ ასრულებდა თავის როლს. მისი სახით ვერც ავტორი გვიხატავს ნატურალურ სურათს, და მსახიობს მეტი არ მოეთხოვება—თუმცა ამ საღამოს (მოხუცი) გრძნობდა, რომ სცენაზე იყო და არა მართლა სოფლის გლეხთა შორის.

პიესა დეკორაციებისა და დადგმის მხრივ უნაკლოდ ვერ ჩატარდა. თუ პირველი სურათი განთიადისა კარგი იყო და მართლაც სოფლის ცხოვრებასთან გვაკავშირებდა—სამაგიეროდ სუსტი იყო გლეხთა მასიური სცენები.

სხვა საღამოებთან შედარებით ეს საღამო უფრო წესიერად და წყნარად ჩატარდა. მხოლოდ თეატრის კომისარს აღარ უნდა ქონდეს ისეთი შემთხვევა, რომ წინასწარ დაჭერილ სკამებზე ბილეთი ვეღარ გაეყიდვინოს კასირს, და ნიადაგზედაც ამ საღამოს ერთი კონფლიქტი მოხდა ქალაქის კომენდანტის „დიუჟანტისა და „ტრიბუნის" რეცენზენტის შორის.

გ. თ—ლი.

—

**მეიერხოლდის იუბილე.** მიმდინარე წელში შესრულდება ოცი წლის სარეჟისორო მოღვაწეობა ვ. ე. მეიერხოლდისა. ამ დღის აღნიშვნა დაიწყება მეიერხოლდისავე მიერ მარსელ მარტინეს ტრაგედიის „ღამე"-ს დადგმით, მიტინგთან, დეკემბრის ბოლო რიცხვებში.

— **სტანისლავსკის საოპერო სტუდია.** მოსკოვში შესდგა სტანისლავსკის საოპერო სტუდიის პირველი წარმოდგენა—„ევგენი ონეგინი". დადგმა შესანიშნავია მხოლოდ თავისი სრული უბრალოებით და მთელი სიმძიმის ცენტრი გადატანილია სცენიურ გამომეტყველების მუსიკალობაზე.

— **„ადამიანი—მასსა"** ამ ჟამათ მოსკოვის რევოლიუციონურ თეატრში სწარმოებს მუშაობა გერმანელი კომუნისტის ერნესტ ტოლლერის ახალი პიესის „ადამიანი—მასსა"-ს დადგმაზე. სდგამს მეიერხოლდი. სამხატვრო ნაწილი მინდობილი აქვს კონსტრუქტივისტს შესტაკოვს. სცენის იატაკი ამაღლებულია საცქერ ზოლის მიმართულებით. ამით განზრახულია გამოიწვიონ შთაბეჭდილება, მოქმედების დროს სადღაც ქვევიდან მომავლინებელ მასსისა. პიესის ზოგიერთი ნაწილები ნაჩვენები იქნება რამოდენიმე ბაქანზედ, ერთი მეორეს ქვეშ. ნახმარი იქნება ზემოთ ამწევი მანქანა, მმოძრავი ტროტუარი და სხვა დინამიური მიღწევანი დიდი ქალაქისა.

## მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

**დეკრეტი № 14**

**საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი**

ათიათას მანეთიანი ქართული ფულის ნიშნის გამოცემის შესახებ.

ფულის ტრიალისათვის დიდი კუპიურის საჭიროების გამო და მგრუთვე ფულისა და საქონლის ტრიალის გასაადვილებლად, საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. გამოცემულ იქნეს სატრიალებლად 1922 წ. დეკემბრის 11-დან ფულის ნიშანი (ქართული ბონი) ათიათასი მანეთის ღირსებისა.

2. ათიათას მანეთიანი ღირსების ფულის ნიშანი (ქართული ბონი) იხმარება ყველგან საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკაში უკვე წინად გამოცემული ფულის ნიშნების თანაბრად, უთანასწორდება თავისი ღირსებისამებრ ათიათას ქართულ მანეთს და სავალდებულოა მისაღებად სახელმწიფო დაწესებულებათა და კერძო პირთათვის.

3. ზემოაღნიშნული ღირსების ფულის ნიშნებისათვის (ქართული ბონისათვის) პასუხისმგებელია სახელმწიფო მთელი თავისი ქონებით და ყალბი ფულის ნიშნის დამზადებისათვის დამნაშავე დაისჯება კანონისამებრ სისხლის სამართლის წესით.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერ-კავკასიის სოც. რესპუბლიკათა ფედერატიული კავშირის ფინანსთა კომისრის რწმუნებული საქართველოში **ბ. ბიბინეიშვილი.**

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი ალ. ხალარიძე.

1922, წ. დეკემბრის „7"

—

**დადგენილება № 25**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

სამოქალაქო გადასახადის შესახებ ზემო-ავჭალაში ჰიდრო-ელექტრონული სადგურის მოსაწყობი ფონდის გასაძლიერებლად.

ზემო-ავჭალაში ჰიდრო-ელექტრონული სადგურის ასაგებად საჭირო მუშაობის წარმოებით შესრულებისათვის სრულიათ საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაწესდეს 1922 წ. ქალ. ტფილისში მცხოვრებ ყველა შრომის უნარიან მოსახლეზე განსაკუთრებული სამოქალაქო გადასახადი, სახელდობრ: მამაკაცზე ხნოვანობით 17-დან 60 წლამდე, და ქალზე ხნოვანობით 17-დან 55 წლამდე.

2. გადასახადისაგან განთავისუფლდება: ა) ნამდვილ სამსახურში მყოფი წითელარმიელი და მილიციონერი, ბ) სახელმწიფო სასწავლებელთა მოსწავლენი, გ) პირი, რომელიც სარგებლობს სოციალურ უზრუნველყოფას და უმუშევარი, რომელიც აღრიცხულია შრომის ბირჟაში, დ) ქალი, რომლის მზრუნველობაშიც იმყოფება ერთი ან მეტი ბავშვი 14 წლიდან და ოჯახის სხვა შრომის უნარ მოკლებული წევრი, თუ იგი დამოუკიდებლად, სხვისი დახმარების გარეშე ეწევა თავის მეურნეობას და აგრეთვე დიასახლისი, რომელიც ემსახურება ხუთისა და მეტი სულისაგან შემდგარ ოჯახს.

**შენიშვნა:** გადასახადისაგან განთავისუფლდება, აგრეთვე, ის პირი, რომელსაც უკვე გადაუხდია სამოქალაქო გადასახადი სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში და წარმოადგენს სათანადო კვიტანციას.

3. სახელმწიფო სამოქალაქო გადასახადის განაკვეთი დაწესებულ იქნეს შემდეგი რაოდენობით (ოქროთი): ა) მუშა მოსამსახურეებისათვის, რომელნიც იღებენ ჯამაგირს საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს მიერ დამტკიცებულ სატარიფო ქსელის მე-9 კატეგორიამდე—ორმოცდა ათი (50) კაპ, ყველა დანარჩენი მუშა-მოსამსახურეებისათვის, რომელნიც იღებენ ჯამაგირს 9 კატეგორიის ზევით თითო (1) მან. სულზე, ბ) სავაჭრო სამრეწველო კლასის პირთათვის სამი (3) მან. ხოლო ყველა დანარჩენ მოქალაქეთათვის—ერთი მანეთი და ორმოცდა ათი (1 მ. 50 კ.) სულზე.

4. წინა მე-3 მუხლის „ა" ლიტერში ნაჩვენებ პირთა შორის გადასახადისაგან. სრულიად განთავისუფლდება ის პირი, რომელიც არჩენს სამზე მეტ ბავშვს.

5. ამა დადგენილებით დაწესებული გადასახადი შეტანილ უნდა იქნეს ყველა კატეგორიის გადამხდელთა მიერ არა უგვიანეს 1922 წლის დეკემბრის 31-სა.

**შენიშვნა:** გადასახადის გაუღებლობის გამო 1923 წლის იანვრის 15-სათვის სამოქალაქო გადასახადს მიემატება 25-პროც. საურავი, ხოლო 1923 წლის იანვრის 31-დე გადაუხდელობის გამო გადასახადი უნდა იქნეს ერთი-ორად.

6. სამოქალაქო გადასახადისაგან შემოსული ყველა თანხა მთლიანად ჩაირიცხება ზემო-ავჭალაში ჰიდრო-ელექტრონული სადგურის აგების საქმეთა კომიტეტის ფონდის გასაძლიერებლად და არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მოხმარებულ იქნეს სხვა მიზნისათვის.

7. ამა დადგენილების განსავითარებლად ტფილისის ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტს უფლება აქვს ამიერ-კავკასიის სოციალისტურ რესპუბლიკათა ფედერატიული კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულთან საქართველოში ერთად გამოსცეს სათანადო ინსტრუქციები.

8. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრ. კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ა. ორახელაშვილი.**

სრულიად საქართველოს სოც. კომ. საბჭოს მდივანი

**ალ. ხალარიძე.**

1922 წ. დეკემბერი.

ტფ.—სასახლე.

## განმარტებისათვის

გაზეთ „კომუნისტის" 9 დეკემბრის ნომერში (№ 283) მოთავსებულია სიმონ დეკანოსიძის განცხადება, რომ ის გამოდის საქ. მემარცხენე სოც.-ფედ. სარევოლიუციო პარტიიდან. განმარტებისათვის უნდა განვაცხადოთ, რომ ის არასოდეს არ ყოფილა ჩვენი პარტიის წევრი. ის იყო მხოლოდ ახალ გაზდათა კავშირის კანდიდატი და მეტი არაფერი. ეს ერთი, მეორე დეკანოსიძე კი არ გამოსულა, არამედ ის გამორიცხეს. მას მრავალჯერ მიეცა გაფრთხილება ხელი აეღო ლოთობაზე და სხ. მაგრამ ამაოდ: ამის გამო ახალგაზდათა კავშირის გამგეობამ მოხსნა ის კანდიდატთა სიიდან, რაც მას ეცნობა 5 დეკემბერს, ხოლო ხსენებული დეკანოსიძე 9 დეკემბერს, აცხადებს „კომუნისტში" რომ იგი 5 დეკემბრიდან გამოდის საქ. მემ. სოც.-ფედ პარტიიდან.

**მემარცხენე სოც.-ფედ. სარ. პარტიის ახალგაზრდათა კავშირის გამგეობა.**

**დავკარგე** პირადობის მოწმობები ოზურგეთში წყალდიდობის დროს ელენე ალექსანდრეს ასულმა, აბაზაძე—ჟღენტისამ, იოსებ გრიგოლის ძე ჟღენტმა და ანასტასია ღვთისოს ასულმა ჯანდიერისამ, გაუქმებულად ჩაითვალოს.

№ 357

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემი ლკ—მთავარი კომიტეტი

საფინანსო კომისარიატის საქართველოს დამშეულთა სასარგებლოდ
**დიდი ლატარიის**
მომწყობი კომისია ამით აცხადებს საზოგადოების და ლატარიის პროვინციის ქვე კომისიების საყურადღებოდ, რომ
**ლატარიის გათამაშება გადადებულია**
1923 წ. 20 თებერვლისთვის.
ბილეთების გაყიდვა გრძელდება
2—1 კომისია.

მოკლე ხანში
ჯანმრთელობის სახალხო კომისარ.
ფარმაცევტიული განყოფილება
ხსნის
**მეორე მაღაზიას**
ყოფილ ახვლედიანის აფთიაქის შენობაში,
რუსთაველის პროსპექტისა (ყოფ. გოლოვინის) და სამხედრო ქუჩის კუთხეში.
5—3



საქართვ. უმაღლ. ეკონ. საბჭ. პოლიგრაფ. განყოფ. სტამბა კრუზენშტერნის ქუჩ. № 2.